პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 244 (3221) 18 1966 წ. დეკემბერი. კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

## ოლიმპიური ტრამპლინი კოლმეურნეობაში

## ჩვენს დიდ ოჯახში

კოტელნიჩი (კიროვის ოლქი), 16 დეკემბერი. სასოფლო-სამეურნეო არტელ „ისკრაში" დამთავრდა 60-მეტრიანი ტრამპლინის მშენებლობა. იგი კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა ააგეს არტელის ხელმძღვანელობის აქტიური დახმარებით. კოლმეურნეობაში, რომელსაც სათავეში სოციალისტური შრომის გმირი ა. რონჟინი უდგას, ფიზკულტურის განვითარებას დიდი ყურადღება ექცევა. მუშაობს სათხილამურო და საციგურო, ფეხბურთისა და ჰოკეის, ძალოსნობისა და ფრენბურთის, ჩოგბურთისა და მძლეოსნობის, ჭადრაკისა და შაშის სექციები.

„ისკრის" სპორტსმენები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა რაიონულ შეჯიბრებაში. ამ დღეებში კოლმეურნე ქალებმა I ადგილი დაიკავეს მოთხილამურეთა ასპარეზობაში, ვაჟების გუნდმა — მეორე. კოლმეურნეობის კომკავშირული კომიტეტის მდივანმა ვ. მოშაროვმა ოლქის ჩემპიონობა მოიპოვა ძალოსნობაში.

აქ ზამთრის სეზონისთვისაც კარგად მოემზადნენ. კოლმეურნეობის სახსრებით შეიძინეს ახალი თხილამურები, ციგურები, ფეხსაცმელები და სხვა სპორტული ინვენტარი.

ერთი ახალი ჩანაფიქრიც აქვთ: ათასადგილიანი სტადიონის მოწყობას აპირებენ.

## ისკრელთა მისაბაძი საქმეები



გაპოროჟიეს ახალგაზრდობის სპორტულ სკოლაში რეგულარულად მეცადინეობს მოფარიკავეთა ჯგუფი, რომელშიც ასზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილია გაერთიანებული. მახვილის ფლობის ხელოვნებას ახალგაზრდებს გადასცემს გამოცდილი მწვრთნელი თ. ფრონდზეი.

სურათზე: თ. ფრონდზეი ზაპოროჟიეს 77-ე სკოლის IX კლასის მოსწავლე ლ. მიხაილოვას უხსნის, როგორ გადავიდეს იერიშზე.

ფოტო ა. კრასოვსკისა (საქდესი).

## საკავშირო ჩემპიონატის საზეიმო დახურვა

**პრიზიორები:**
**ნ. ალექსანდრია,**
**ა. კისლოვა,**
**ტ. ზატულოვსკაია**

დიპლომები დაიმსახურეს:
ვ. კოზლოვსკაიამ,
ე. რუბცოვამ,
ა. ჩაიკოვსკაიამ

**საქართველოს მოჭადრაკეთა 8 ჯილდო**

**კიევი**, 17 დეკემბერი (**ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.**). დღეს მოეწყო სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა XXVI ჩემპიონატის ბოლო ტურში გადადებული პარტიების დამთავრება. ა. კისლოვამ მოუგო ნ. მედიანიკოვას, ხოლო ტ. ზატულოვსკაიამ — ც. კახაბრიშვილს.

საღამოს გაიმართა ჩემპიონატის საზეიმო დახურვა. სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის წარმომადგენელმა ი. როხლინმა გამარჯვებულებს ჯილდოები გადასცა.

ნ. ალექსანდრიამ ოქროს მედალი მიიღო, ა. კისლოვამ — „ვერცხლი", ხოლო ტ. ზატულოვსკაიამ — „ბრინჯაო". IV-VI ადგილებზე გასულმა მოჭადრაკეებმა — ვ. კოზლოვსკაიამ, ე. რუბცოვამ და ა. ჩაიკოვსკაიამ დაიმსახურეს საკავშირო სპორტკავშირის დიპლომები.

ამას გარდა, ცალკეულ მოჭადრაკეებს გადაეცათ სპეციალური პრიზები. ნ. ალექსანდრიამ დაიმსახურა 4 ასეთი ჯილდო, ა. ჩაიკოვსკაიამ — 2, ხოლო ე. კაკაბაძემ და ც. კახაბრიშვილმა — თითო.

XXVI ჩემპიონატი




ნოვოსიბირსკში ძალაში შევიდა ზამთრის სპორტული სეზონი. ახმაურდა ქალაქის სათხილამურო ტრასები. ბევრმა უკვე აიღო პროფკავშირების ზამთრის VI სპარტაკიადის სტარტი.

* * *

სურათზე: ნოვოსიბირსკის ერთ-ერთი უდიდესი სათხილამურო ბაზა „სტროიტელი".

ფოტო ვ. ლეშჩინსკისა (საქდესი).

## თოვლისა და ყინულის სარბიელებზე

**ყოველი** ახალი წელი ზამთრის სახეობებში დიდი საერთაშორისო შეჯიბრებებით იწყება. ცხადია, ამჯერადაც ასე იქნება. მსოფლიოს საუკეთესო მოციგურეები, ფიგურისტები, ჰოკეისტები და სხვა სახეობათა წარმომადგენლები ენერგიულად ემზადებიან უმაღლესი ტიტულებისა და სხვა საპრიზო ადგილების დასაკუთრებისთვის. მართალია, ზოგიერთ ცნობილ სპორტსმენს გაისად სარბიელზე ვეღარ ვიხილავთ, მაგრამ, სამაგიეროდ, მომავალი ჩემპიონატები, უეჭველია, ახალ ტალანტებს გამოავლენს.

ერთი სიტყვით, ახალი სეზონი ბევრ საინტერესოს გვპირდება. აი, სად და როდის გაიმართება გაისად ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები.

**ციგურებით სწრაფრბენა: ვაჟები.** ევროპის პირველობა — 28-29 იანვარი, ლაჰტი. მსოფლიოს პირველობა — 11-12 თებერვალი, ოსლო. **ქალები.** მსოფლიოს პირველობა — 18-19 თებერვალი, დევენტერი (ჰოლანდია).

**ჰოკეი.** ევროპისა და მსოფლიოს პირველობა — 8-19 მარტი, ვენა.

**ბობსლეი.** ევროპის პირველობა — 18-25 იანვარი, იგლსი (ავსტრია); მსოფლიოს პირველობა — 4-12 თებერვალი, ალპ დ'იუეცი (საფრანგეთი).

**ციგებით სრიალი.** ევროპის პირველობა — 28-29 იანვარი, კიონიგზეე (გფრ); მსოფლიოს პირველობა — 18-19 თებერვალი, ჰამარსტრალდი (შვეცია).

**ფიგურული სრიალი.** ევროპის პირველობა — 1-5 თებერვალი, ლიუბლიანა. მსოფლიოს პირველობა — 28 თებერვალი-5 მარტი, ვენა.

იანვრის დამლევსა და თებერვლის დასაწყისში გრენობლში, მომავალი ოლიმპიადის ცენტრში გაიმართება წინაოლიმპიური კვირეული.

## ოლიმპიური მეხიკოს მენაშენენი

**მეხიკო**, 16 დეკემბერი. აქ დაიწყეს სპორტის სასახლის მშენებლობა, რომელიც 24 ათას მაყურებელს დაიტევს. 1968 წლის ოლიმპიადის დროს აქ გაიმართება შეხვედრები კრივსა და კალათბურთში. სასახლის პროექტი ძალზე გაბედულია. ცნობილი მექსიკელი არქიტექტორების ფ. კანდელას, ე. კასტანიედისა და ა. პეირის აზრით, ნაგებობის ჭერი იქნება 160-მეტრიანი დიამეტრის მქონე ბეტონის სფერო, რომელიც სპილენძის ფურცლებით იქნება დაფარული.

ხუთი გზატკეცილი მანქანების უსაშველო თავმოყრის საშიშროებას არ წარმოქმნის. აქვე იქნება 2500 მანქანისთვის განკუთვნილი სადგომი.

გეგმის მიხედვით, სასახლის მშენებლობა 1968 წლის აგვისტოსთვის, ე. ი. ოლიმპიადის დაწყებამდე 2 თვით ადრე უნდა დამთავრდეს, მაგრამ მექსიკის ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლის განცხადებით, დედაქალაქში სპორტულ ნაგებობათა მიმდინარე მშენებლობები 1967 წლის „მცირე ოლიმპიადის" მონაწილეების მისაღებად იქნება მზად. ეს შეჯიბრებები საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მფარველობით მიმდინარეობს და „სპორტის საერთაშორისო კვირეულს" შეცვლის. ასეთი ასპარეზობები მეხიკოში ხომ ორჯერ უკვე მოეწყო. ორგანიზატორები მოელიან, რომ გაისად შემოდგომაზე ბოლო წინასაოლიმპიადო შეჯიბრებებში მონაწილეობას მიიღებენ დაახლოებით 50 ქვეყნის სპორტსმენები.

ორი ქარხნის შეჯიბრება — მე-2 გვ.

მწვავედ, კომბინაციურად! — მე-3 გვ.

ე. ხუციშვილის 2 გოლი — მე-4 გვ.

## საჭიროა სათუთი მიდგომა

თბილისის ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს სპორტდარბაზში გაიმართა მოკრივეთა საკლასიფიკაციო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდნენ „დინამოს", „სპარტაკის", „შრომითი რეზერვების", „განთიადის", „ბურევესტნიკასა" და თბილისის განათლების განყოფილების 1947-1950 წლებში დაბადებული ჭაბუკები.

უნდა ითქვას, რომ მონაწილეთა უმეტესობის ტექნიკური მომზადება ძალიან სუსტი იყო. საყვედურის ღირსი არიან ის მწვრთნელები, რომლებმაც ასეთ შეჯიბრებაში ზოგიერთი ჭაბუკი ნაადრევად გამოიყვანეს. ამგვარმა დაუფიქრებელმა ნაბიჯმა შესაძლოა ახალგაზრდებს სულაც დაუკარგოს კრივისადმი ინტერესი. შეჯიბრებისთვის ახალბედების შერჩევას მეტისმეტად სათუთი მიდგომა სჭირდება.

ტურნირში თავი გამოიჩინეს ნ. ლაცუქმა, გ. საბაძემ (ორივე — „განთიადი"), ნ. ბეგანიშვილმა, ვ. ვოლნიხმა, ი. პილიევმა (სამივე — „შრომითი რეზერვები"), ნ. წივწივაძემ („დინამო") და სხვ.

ე. ქელბაქიანი.

* * *



სურათზე: საშუალო წონის მოკრივეთა — გ. გუმბერიძის (განათლების განყოფილება) და ნ. კოლენიუკის („განთიადი") შეხვედრის მომენტი.

ფოტო ა. კავკასიძისა.

პარტიისა და მთავრობის დადგენილება — მოქმედებაში!

# ვიწვევთ რუსთაველ ქიმიკოსებს



ქუთაისის ლითოფონის ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივი ერთ-ერთი მოწინავეა რესპუბლიკაში. ამ საწარმოს სპორტსმენებმა წლეულს თავი ისახელეს ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ სპარტაკიადაში. მათ დიდი გადაჭარბებით შეასრულეს გეგმა-ვალდებულების ყველა პუნქტი. კეთილმოაწყეს სპორტბაზები. ამაღლდა მასობრივ-გამაჯანსაღებელი და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის დონე.

ამ დღეებში ქარხნის სამეურნეო, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივის კრებამ მიღწეულ წარმატებებსა და სამერმისო გეგმებზე იმსჯელა. აქტივმა განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილება „ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

დადგენილების საპროგრამო მნიშვნელობასა და ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივის ამოცანებზე ვრცლად ილაპარაკა პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ი. გოგოლაშვილმა.

სიტყვით გამოსულებმა: მექანიკური საამქროს ოსტატმა შ. თორაძემ, ამავე საამქროს კომკავშირის კომიტეტის მდივანმა, პირველთანრიგოსანმა სპორტსმენმა თ. ჭანგავაძემ, კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსმა ა. ქექელიამ, ბარიუმის საამქროს უფროსმა პ. კაცაძემ, ფიზკულტურის ინსტრუქტორმა ა. სალალოვმა და სხვებმა წამოაყენეს ბევრი საყურადღებო წინადადება, რომელთა განხორციელება კიდევ უფრო აამაღლებს კოლექტივის ფიზკულტურელთა საქმიანობას.

მასობრივ-ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, სპორტული ბაზების ქსელის გაფართოების, ქარხნის ნაკრები გუნდების ბრძოლისუნარიანობის განმტკიცების მიზნით, აქტივის კრებამ აიღო ვალდებულებები, რომელთაც ქვემოთ ვაქვეყნებთ:

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილების შესასრულებლად, საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისთვის, ვილვწით რა სპორტული კლუბის საპატიო სახელის მოსაპოვებლად, ქუთაისის ლითოფონის ქარხნის ფიზკულტურელები სოციალისტურ შეჯიბრებაში ვებმებით რუსთავის ქიმიური კომბინატის ფიზკულტურულ კოლექტივთან და ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

1. ვიმუშავებთ ისე, რომ ხუთწლედის ყოველ წელს გადაჭარბებით შევასრულოთ ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების გეგმა, ყოველწლიურად აღვზარდოთ თითო სპორტის ოსტატი, ყოველი მეოთხე მელითოფონეს ექნეს თანრიგი, რომ საგაისოდ ფიზკულტურელთა რიცხვი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა 70, 1970 წელს კი 80 პროცენტს შეადგენდეს;

2. ქარხნის ტერიტორიაზე ავაგებთ დახურულ აუზს, სტადიონს ფეხბურთის მინდვრით, მძლეოსნური სექტორებით, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნებით, სასროლეთით. კალათბურთისა და ფრენბურთის უკვე არსებულ მოედნებზე მოვაწყობთ განათებას. ღია საცურაო აუზზე ავაგებთ სახტომ კოშკსა და ტრამპლინს. შევქმნით სათანადო პირობებს წყალბურთის სექციის მუშაობისთვის. სანიტარულ-საყოფაცხოვრებო კორპუსში მოვაწყობთ სპორტდარბაზს და მას სათანადო ინვენტარით უზრუნველვყოფთ;

3. ვიბრძოლებთ ქარხანაში სუსტად დანერგილ სახეობათა (მძლეოსნობა, ტანვარჯიში, ძალოსნობა, კრივი და ჭიდაობა) მეტი პოპულარობისთვის. საქარხნო სპარტაკიადას ყოველწლიურად ორ ტურად გავმართავთ. სისტემატურად ჩავატარებთ ამხანაგურ შეხვედრებს სხვა საწარმოების ფიზკულტურელებთან;

4. მასობრივ-გამაჯანსაღებელი საქმიანობის სათანადო დონეზე დაყენებისთვის გავზრდით საწარმოო ტანვარჯიშში მომეცადინეთა რიცხვს. მოვახდენთ ყველა საამქროს რადიოფიცირებას და ვარჯიშთა კომპლექსს ადგილობრივი ქსელით გადავცემთ. დამატებით შევქმნით გამაჯანსაღებელ ჯგუფებს საშუალო და უფროსი ასაკის მუშა-მოსამსახურეებისთვის, ხოლო სანატორიუმ-პროფილაქტორიუმთან მოვაწყობთ სეზონურ გამაჯანსაღებელ ბანაკებს საირმის მთებსა და ქობულეთში. ყველას, ვინც ჯანმრთელობისთვის მავნე, მძიმე სამუშაოს ასრულებს, ჩავაბამთ სპორტულ სექციებსა და გამაჯანსაღებელ ჯგუფებში, მივაღწევთ, რომ ისინი შინაც რეგულარულად ატარებდნენ გამამხნევებელ ვარჯიშს;

5. ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლასთან დაკავშირებით გავზრდით მასობრივ-ფიზკულტურულ ღონისძიებათა რიცხვს. სისტემატურად მოვაწყობთ ტურისტულ ლაშქრობებს, შევქმნით მონადირეთა და მეთევზეთა კლუბებს;

6. მელითოფონეთა ოჯახის წევრების ფიზკულტურულ საქმიანობაში ჩაბმის მიზნით, მათ დასახლებაში მოვაწყობთ მარტივი ტიპის სამ სპორტულ მოედანს. ბავშვებსა და მოზარდებზე ზედამხედველობის გაძლიერებისთვის გავხსნით სპორტსკოლას მძლეოსნობის, ტანვარჯიშის, ფარიკაობის, ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთისა და ხელბურთის ჯგუფებით. ყოველწლიურად პიონერთა ბანაკებში წამსვლელ 50 ბავშვს შევასწავლით ცურვას;

7. სისტემატურად ჩავატარებთ სპორტულ საღამოებს, ლექცია-მოხსენებებს, ვაჩვენებთ სპორტულ ფილმებს, სპეციალურ სტენდს მივუძღვნით ქარხნის ფიზკულტურული ცხოვრების 30 წლისთავს.

ამ ვალდებულებათა შესრულების ყოველწლიურ შემოწმებას ვანდობთ ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტსა და „განთიადის“ ცენტრალურ საბჭოს.

ქარხნის კოლექტივის სახელით:

გ. ძიმისტარიშვილი, ქარხნის დირექტორი; დ. სვანიძე, პარტბიუროს მდივანი; ი. გოგოლაშვილი, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე; ო. ჯულაყიძე, კომკავშირის კომიტეტის მდივანი; დ. ხორავა, ქარხნის დისპეტჩერი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი წყალბურთში; ა. სალალოვი, ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტი; ი. ციციშვილი, ელექტრომონტიორი, სპორტის ოსტატი; ი. გიორგაძე, დოსააფის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე; ა. კლდიაშვილი, თუთიის საამქროს მუშა, თანრიგოსანი სპორტსმენი.

# საჭიდაო ხალიჩაზე

## მოკლევადიან შეკრებაზე

**პოდოლსკი**, 16 დეკემბერი (**ჩვენი კორ.**). აქ მოკლევადიან შეკრებას გადის სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატთა ერთი ჯგუფი კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში. შეკრებაზე იმყოფებიან საქართველოს ათლეტებიც: კლასიკურ ჭიდაობაში — რ. რურუა, დ. გვანცელაძე, თ. მაჭავარიანი, ო. ბლიაძე, მ. ჩიბურდანიძე და თ. სირბილაძე (მწვრთნელი ი. ჩხარტიშვილი), თავისუფალ ჭიდაობაში — ნ. ხოხაშვილი და ა. ცხოვრებოვი (მწვრთნელი ვ. ბალავაძე).

## შორეული გზის დასაწყისი

**მოსკოვი**, 16 დეკემბერი (**ჩვენი კორ.**). გაისად, აპრილის პირველ რიცხვებში ლისაბონში გაიმართება ევროპის ჭაბუკთა პირველობა სამბოში. ამ ტურნირში წარმატებით მონაწილეობისთვის აქ, შესარჩევ ტურნირში საასპარეზოდ, იმყოფებიან საქართველოს ჭაბუკი სამბისტები: ე. ნინიაშვილი (საშუალო წონა), ნ. მუმლაძე (ქვემძიმე) და ნ. ზაზუნაშვილი (მძიმე). აღსანიშნავია, რომ ე. ნინიაშვილი პირველად ცდის ძალას საშუალო წონაში.

შეჯიბრებაში გამარჯვებულთაგან შედგება ნაკრები, რომელიც რამდენიმე ამხანაგურ მატჩს გამართავს სხვა ქვეყნების სამბისტებთან, მათ შორის, 8 იანვარს — გდრ-ის გუნდთან.

## მხოლოდ [illegible] შედეგები...

თბილისში დამთავრდა რესპუბლიკის უძლიერეს სამბისტთა პირადი პირველობა, რომელშიც 80-მდე ათლეტი ასპარეზობდა. შეჯიბრებას ტრადიციულად მოარიდეს თავი აფხაზეთის, აჭარის, საგარეჯოს, თელავისა და ზოგიერთი სხვა ქალაქის მოჭიდავეებმა.

წონითი კატეგორიების მიხედვით საპრიზო ადგილებზე გავიდნენ:

**უმჩატესი წონა**: 1. **ლაშხი**, 2. გიორგაძე (ორივე — თბილისი), 3. ხოსიტაშვილი (გარდაბანი).

**მჩატე**: 1. **ჭინჭარაული**, 2. ქუცნიაშვილი (ორივე — გარდაბანი), 3. კოჩბეზაშვილი (გორი), თეთრაშვილი (გარდაბანი).

**ქვემსუბუქი**: 1. **ხახვაძე**, 2. ცოლიკაშვილი, 3. ხუციშვილი, ჩხეტიანი (ყველა — თბილისი).

**მსუბუქი**: 1. **მაისურაძე** (მცხეთა), 2. წივილაშვილი (თბილისი), 3. მაღლაფერიძე (კასპი), ლონდაძე (ქუთაისი).

**ქვესაშუალო**: 1. **გაგუნაშვილი** (თბილისი), 2. შუშაბერიძე (კასპი), 3. ბუჩუკური, ქელივიძე (ორივე — თბილისი).

**საშუალო**: 1. **მარგველანი** (თბილისი), 2. ქამუტაშვილი (გარდაბანი), 3. ფუხაშვილი, მუმლაძე (ორივე — თბილისი).

**ქვემძიმე**: 1. **ერემაშვილი** (ქუთაისი), 2. ბუზალაძე (თბილისი), 3. შათიკიშვილი (გორი), ჯალაბაძე (ცხინვალი).

**მძიმე**: 1. **გზირიშვილი**, 2. შაშვიაშვილი (ორივე — თბილისი), 3. მაისურაძე (გორი).







ფიზკულტურა და სპორტი რომ სიჯანსაღისა და სიმტკიცის უშრეტი წყაროა, ყველამ იცის. იმის მაგალითიც ბევრია, რომ ფიზიკურად სუსტად განვითარებული ბავშვები სწორად სისტემატური, გეგმაზომიერი ვარჯიშის წყალობით არა მარტო გაჯანსაღებულან, არამედ მერე სპორტის დიდ სარბიელზეც უსახელებიათ თავი და ჩემპიონის ან რეკორდსმენის სახელი მოუპოვებიათ. მაგრამ ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ასპარეზობისას გაუთვალისწინებელი მოვლენები ათლეტში იწვევს ხელის, ფეხის, წელის ან სახსრების დაზიანებას, რაც ექიმ-სპეციალისტთა მეთვალყურეობას საჭიროებს.

სწორედ ასეთი დაწესებულებაა თბილისის საექიმო ფიზკულტურის დისპანსერი, რომელიც ზემოაღნიშნული ამოცანის გადაწყვეტის გარდა მეორე, მეტად მნიშვნელოვან მოვალეობასაც ასრულებს — სპორტსმენთა ჯანმრთელობის პოლიკარდიოგრაფიული მეთოდით გამოკვლევას ახდენს. ამიტომაც დისპანსერის ხშირი სტუმრები ჯანღონით სავსე ადამიანებიც არიან.

სპორტსმენთა ჯანმრთელობის ეს სამჭედლო — ერთ-ერთი კეთილმოწყობილი სამკურნალო ობიექტი — აღჭურვილია უახლესი ტექნიკით, რომელიც გამოცდილი სპეციალისტების მარჯვენით ხალხის სამსახურშია ჩაყენებული.

აქ ახდენენ სპორტსმენთა გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფაზობრივ ანალიზს, რისთვისაც ერთდროულად იწერება კარდიო, სფიგმო და ფონოგრამები. აღნიშნული მეთოდის გამოყენება საშუალებას იძლევა თავშივე გამოავლინონ ადამიანში გულ-სისხლძარღვთა პათოლოგია და დროულად ჩაუტარონ სათანადო მკურნალობა. ზ ე დ ა ს უ რ ა თ ზ ე სწორედ ეს მომენტია აღბეჭდილი. ექიმი ც. მარგველაშვილი და ექთანი ნ. ლაშხი პაციენტზე ახდენენ დაკვირვებას.

ტრავმატული დაზიანების მკურნალობის შემდეგ ავადმყოფი სამკურნალო ფიზკულტურის კაბინეტის კლიენტი ხდება, სადაც სახსრების ფუნქციის აღდგენისთვის სხვა ხელსაწყოებთან ერთად ველოდაზგასაც წარმატებით იყენებენ (შ უ ა ს უ რ ა თ ი).

ქ ვ ე დ ა ს უ რ ა თ ზ ე თქვენ ხედავთ დისპანსერის სტაციონარში სამკურნალოდ მოსულ სპორტსმენებს თავისუფალ დროს.

**ო. ივდოშვილი.**

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# ხარვეზების მიუხედავად

ამას წინათ გაიმართა აბაშის დოსააფის რაიონული კომიტეტის VI კონფერენცია. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა კომიტეტის თავმჯდომარე ვ. კვარაცხელია. კამათში მონაწილეობა მიიღეს გ. ნოდიამ (სუჯუნის საშუალო სკოლა), კ. გაბელაიამ (აბაშის მექანიკური ქარხანა), ზ. ფირცხალავამ (ავტოსატრანსპორტო კანტორა), ა. მაჭავარიანმა (სეფიეთის კოლმეურნეობა), ვ. რამიშვილმა (დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტი) და სხვ.

კონფერენციაზე ითქვა, რომ რაიონში დიდი მუშაობა ჩატარდა სპორტის ტექნიკური სახეობების განვითარებისთვის. ამ მხრივ განსაკუთრებით საქებნი არიან წყემის, სამიქაოს ცხაკაიას, აბაშის ენგელსის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობები. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით აბაშის ლენინის, სამიქაოს მახარაძის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობებზე. სოფლის ფიზკულტურულ კოლექტივებში ტექნიკური სახეობების ნაკლებ პოპულარობას ისიც ადასტურებს, რომ მსროლელთა ტურნირში საასპარეზოდ მხოლოდ ორი გუნდი გამოცხადდა.

აღინიშნა, რომ დოსააფის აბაშის რაიონულმა კომიტეტმა წარმატებით გაანაღდა თანრიგოსანთა მომზადების გეგმა.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის მეორე მდივანი ა. თოფურია.

დასასრულ აირჩიეს რაიონული კომიტეტის ახალი შემადგენლობა და რესპუბლიკური კონფერენციის დელეგატები.

**ი. თოფურია.**

(**ჩვენი კორ.**).

აბაშა.

# ფეხბურთის ქრონიკა

## წოდებათა მინიჭება

**1967 წლის 11 ივნისს**

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა კიევის „დინამოს“ ფეხბურთელებს: ა. ბიშევეცს, ვ. მუნტიანს, ე. რუდაკოვსა და ვ. პარკუიანს. სსრ კავშირის თასის ნახევარფინალში მონაწილეობისთვის ეს წოდება დაიმსახურეს მინსკის დინამოელებმა ვ. კაბერსკიმ და ა. ვასილიევმა.

უზბეკეთის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა „პახტაკორის“ ფეხბურთელთა გუნდის უფროს მწვრთნელს მ. იაკუშინს მიანიჭა „უზბეკეთის დამსახურებული მწვრთნელის“ წოდება.

ავსტრიის ფეხბურთის ფედერაციის თხოვნით ევროპის პირველობის შესარჩევი მატჩი სსრ კავშირისა და ავსტრიის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის 1967 წლის 28 მაისის ნაცვლად გაიმართება 11 ივნისს, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე.

ჭადრაკი



# თოჯინა და ოქროს მედალი

ეს სურათი ამ ორი წლის წინათ არის გადაღებული საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ქალთა XXIV ჩემპიონატის საზეიმო დახურვაზე. ელენე რუბცოვა, ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია...

ნანა მაშინ 15 წლისა იყო, ახალბედას ეძახდნენ, მოსწავლის ფორმით და ძალიან დინჯი, ჩაფიქრებული სახით უჯდა საჭადრაკო დაფას. რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზი კი სულგანაბული გულშემატკივრებით იყო სავსე. ნონას ბედი, მრავალ დიდ შეჯიბრებაში ნაცადი ჩემპიონის ბედი, ალბათ, აღარავის აღელვებდა. მისი სჯეროდათ. ნანა კი... მას ხომ მეგობრულ შარჟებშიც კი ვეებერთელა ბაფთით ხატავდნენ, ის ხომ ყველაზე უმცროსი იყო ამ დიდი, ძალზე საპასუხისმგებლო ასპარეზობის მონაწილეთა შორის. და საკავშირო სარბიელზეც პირველად გამოჩნდა.

ვიდრე ჩემპიონატი დაიწყებოდა, ნანა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ერთგვარი მოკრძალებით დაგვპირდა — სიხარულით და პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით ვითამაშებო. დაგვპირდა და სიტყვა არ გაუტეხია, იმედი გაგვიმართლა: VI-VII ადგილები გაიყო ვ. ბორისენკოსთან და 2 სპეციალური ჯილდოც დაიმსახურა. ალბათ, ყველა გულშემატკივარს ახსოვს ის დიდი თოჯინაც, ჩვენს ახალბედა, მაგრამ თავისი აზრიანი, ლამაზი თამაშით გამორჩეულ მოჭადრაკეს ტალმა რომ გადასცა საჩუქრად.

მას შემდეგ მხოლოდ ორი წელი გავიდა. და აი, დღეს კიდევ ერთი დიდი სიხარული მოგვანიჭა ჩვენმა თანამემამულემ, უკვე გამოცდილმა მოთამაშემ, რომელსაც მოსწავლის ფორმა აღარ აცვია, მაგრამ რომელიც ჯერ მხოლოდ 17 წლისაა.

ამ ჩემპიონატში ნანას საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალს გადასცემენ.

მადლობელი ვართ მისი, ვულოცავთ გამარჯვებას, კვლავაც სიხარულსა და ბედნიერებას ვუსურვებთ.

ც. ნიკოლაიშვილი.

ფოტო ა. ვართანოვისა.

# კიდევ ერთი ნაყოფი

ალბათ, გახსოვთ, როცა ნონა გაფრინდაშვილი რიგაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს იცავდა ალა კუშნირთან მატჩში, მოლდავეთის ქალაქ ბელციში მოჭადრაკე ქალთა XXV საკავშირო ჩემპიონატი მიმდინარეობდა. ნორჩმა მოჭადრაკემ ნანა ალექსანდრიამ რატომღაც არ მიიღო მასში მონაწილეობა. ამან დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. თვით საჭადრაკო სამეფოს „ვეზირთ ვეზირებიც" კი შეშფოთდნენ... ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას. თაყვანისმცემლები თავიანთი კერპის მოულოდნელი გააფატების მიზეზს კითხულობდნენ.

... იმ დღეს ჭადრაკის დაუოკებელი მოყვარულები ბუზღუნით ვტოვებდით ძერჟინსკის სახელობის კლუბს, სადაც ნონას მატჩის პარტიების დემონსტრაცია ხდებოდა. გავწბილდით, — ნონას მეტოქემ ავადმყოფობა მოიმიზეზა და... სალაპარაკოდ შევყოვნდით. რა საკითხავია, საუბრის თემა არ შეცვლილა — ჭადრაკი!

ვდაობდით, ხელებს ვშლიდით, ვამოლებდით... ერთმანეთს სიტყვას პირიდან ვგლეჯდით. ბოლოს პაექრობაში ვახტანგ ქარსელაძე ჩავიყოლიეთ. ვიღაცამ ჰკითხა: რატომ ნანა არ წავიდა ბელციშიო?

სიჩუმე ჩამოვარდა. ვახტანგმა ღიმილი ვერ შეიკავა. აშკარა იყო, რაღაცას მალავდა და სწორედ ამის გაგება სურდა ყველას. ვინ მოეშვებოდა! ქართული ჭადრაკის ამ დიდი ამაგდარისგან უნდოდა შეეტყოთ ის, რასაც ვითომ თავადაც „მიაგნეს". ვახტანგი კი დუმდა.

— გახსენ, ვახტანგ, ხვაშიადი, გახსენ, — უთხრა ვიღაცამ.

რაღაც ეშმაკობა ამოვიკითხე მის თვალებში. იმასაც მივხვდი, ცოტაც და, საიდუმლოს ფარდა აეხდებოდა. ვიღაცამ დამასწრო:

— თქვი და მოათავე, ჩვენც ხალხი ვართ.

ვახტანგს გაეცინა და თქვა:

— მე არ გავუშვი.

— რატომ?

— რა საჭირო იყო. წლევანდელი ჩემპიონატი პრეტენდენტთა ტურნირის კანდიდატებს არ ავლენს. ჯობს შინ დარჩეს და ვაჟთა ტურნირში ითამაშოს. მეტს შეიძენს. რაც მთავარია, ვაჟებში მცირედი გამარჯვებაც კი უფრო გაამხნევებს და გზა წინ არის, დიდი გზა.

— ნანასაც პრეტენდენტად ზრდით?

— შევეხმიანე მე.

თვალი გამისწორა.

— რა არის ამაში ცუდი! ჭადრაკის დედოფლის გვირგვინისთვის ბრძოლაში ორი ქართველი ქალი რომ მიუჯდეს მაგიდას, არ გაგიხარდება?

ეჰ, ჩვენი ვახტანგი ახლა აღარ არის, ზარითა და ვიშით გავაცილეთ იმ ქვეყანას. გავაცილეთ და ვფიქრობდით, საიქიოს მას დარჩა დიდი სიცოცხლე. იგი მის აღზრდილთა სულშია ჩაძირკული, ცხოველმყოფელი და უკვდავი.

აი, კიდევ ერთი ნაყოფი დიდი ამაგისა.

გ. მახარაძე.

## გადამწყვეტი შეხვედრა

ნ. ალექსანდრია — მ. რანიკუ

ფრანგული დაცვა

ამ შეხვედრას უაღრესად დიდი სპორტული მნიშვნელობა ჰქონდა. მასზე იყო დამოკიდებული — გახდებოდა თუ არა ნ. ალექსანდრია სსრ კავშირის ჩემპიონი. რა თქმა უნდა, შეხვედრა ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც უკიდურესობამდე იყო დაძაბული.

ნანა შესანიშნავად მომზადებულა ფრანგული დაცვის წინააღმდეგ, რომელსაც რანიკუ მუდამ იყენებს. უჩვეულო მე-9 სვლის იდეა ოსტატ ბ. გურგენიძეს ეკუთვნის. თეთრები დროის დაუკარგავად ავიწროებენ შავებს და ცენტრალურ უჯრებს ეუფლებიან.

ესტონელმა მოჭადრაკემ ვერაფერი მოუხერხა თეთრი ფიგურების მძლავრ შემოსევას და გადაწყვიტა პაიკის შეწირვა. მაგრამ თეთრებმა ხარისხის დათმობით პაიკთა მოძრავი ცენტრი მიიღეს. პარტიის ბედიც ამან გადაწყვიტა. ბოლო 6 სვლა თეთრების ძალთა მძლავრი დემონსტრაციაა.

ეს პარტია კარგად გადმოგვცემს სსრ კავშირის ახალი ჩემპიონის შემოქმედებით კრედოს — თამაშს იერიშზე, მწვავედ, კომბინაციურად!

1. e4 e6 2. d4 d5 3. მc3 მc6 4. e5 f6 5. კb5 კd7 6. მf3 fe 7. კ:c6 bc 8. მ:e5 მf6 9. g4 კd6 10. g5 კ:e5 11. de მg8 12. კe3 მe7 13. ლg4 0—0 14. კc5 ეf7 15. f4 მf5 16. 0—0—0 კe8 17. მe2 ეd7 18. მd4 მe3 19. ლ:e6+ კf7 20. ლh3 მ:d1 21. ე:d1 კg6 22. e6 ეd6 23. კ:d6 ლ:d6 24. f5 კe8 25. ლg3 c5 26. მf3 კc6 27. მe5 ეe8 28. მ:c6 ლ:c6 29. ლe5 g6 30. fg ე:e6 31. gh+ შავები დანებდნენ.

## ამოცანა

ვ. კალანდაძე

(თბილისი)

საქართველოს ჭადრაკის კომპოზიტორთა სახელით ეძღვნება სსრ კავშირის ჩემპიონს ნ. ალექსანდრიას.



შამათი სამ სვლაში.

სპორტ სურათები

# ბ. გურგენიძე — ფინალში

მოსკოვი, 17 დეკემბერი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმმა ჩვენი ქვეყნის XXXIV საჭადრაკო ჩემპიონატის ფინალში 21-ე მონაწილედ დაუშვა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის საპატიო ოსტატი ბ. გურგენიძე. როგორც ცნობილია, ეს ჩემპიონატი სტარტს აიღებს 28 დეკემბერს თბილისში.

# დღვაწლმოსილი

... ტოკიოს ოლიმპიადის ცხარე დღეებში სპორტული ჟურნალისტები დიდ გაწამაწიაში იყვნენ. ვინ ოლიმპიურ სტადიონზე მიიჩქაროდა, ვინ — ჭიდაობის, ფრენბურთის, კალათბურთის დარბაზებისკენ, ვინ — საცურაო აუზისკენ. ყოველ წუთს ოქროს ფასი ჰქონდა. საბჭოთა ჟურნალისტების რეპორტაჟებს მოუთმენლად ელოდნენ ჩვენი ჟურნალ-გაზეთები, სპორტსმოწყურებული მკითხველი. მაგრამ, რაც უნდა სასწრაფო საქმე გქონოდა, „ფუტბოლის" რედაქტორთან მარტინ მერჟანოვთან შეხვედრისას მაინც შეჩერდებოდი, იცოდი, რაღაც საინტერესოსა და სამხიარულოს გიამბობდა.

... ოლიმპიური თამაშების ფინალური მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს ხვდებოდნენ უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები. თამაშის დაწყებამდე მერჟანოვს გინძას ქუჩაზე შევხვდი. მარტინმა ხელი მომკიდა და ერთ-ერთ მაღაზიაში შემიძღვა, სადაც სხვადასხვა სუვენირს ყიდდნენ. ათშაურიანისხელა ორი მოოქროვილი მედალი იყიდა და იქვე წააწერინა კიდეც: „მ. მესხს", „ვ. ვორონინს". ქართველი ფეხბურთელისთვის განკუთვნილი მედალი ქაღალდში სათუთად შეახვია, გადმომცა და მითხრა:

— გასაგებია?!

ოლიმპიური სტადიონისკენ ერთად წავედით.

ეს ამბავი იმიტომ გავიხსენე, რომ ერთხელ კიდევ აღვნიშნო მ. მერჟანოვის სიმპათია [illegible] ფეხბურთელებისადმი, კერძოდ, თბილისის დინამოელების მიმართ. როცა სსრ კავშირის პირველობაზე დინამოელთა მატჩების ანგარიშს მ. მერჟანოვი აწერს ხელს, იცი, რომ ეს არის საქმის ცოდნით, დიდი სიყვარულით სავსე სტრიქონები. ავტორს აღაფრთოვანებს ჩვენი ფეხბურთელების მაღალტექნიკური თამაში, ვერ ურიგდება, როცა თბილისელები სრულად ვერ ავლენენ თავიანთ უნარს.

მერჟანოვს საათობით შეუძლია გელაპარაკოს მიქელანჯელოს, რაფაელის, რეპინის უზადო ხელოვნებაზე.

დაუღალავ ჟურნალისტს ახლახან 66 წელი შეუსრულდა და იგი პენსიაზე გავიდა. მან დატოვა „ფუტბოლის" რედაქტორის პოსტი, მაგრამ კალამი არ დაუგდია. მერჟანოვი კვლავაც გაგვახარებს შინაარსიანი, დახვეწილი სტატიებით, წიგნებით. გეგმები კი არც ისე მცირე აქვს. ჟურნალ „ოგონიოკისთვის" მოამზადა წიგნი „მსოფლიოს 3 ჩემპიონატი", ქართველი მკითხველებისთვისაც დაწერა წიგნი — „მსოფლიოს სტადიონებზე" და სხვ.

სპორტის მოყვარულ მკითხველთა და პრესის მუშაკთა კეთილ სურვილებს მარტინ მერჟანოვის მიმართ ჩვენც ვუერთებთ ჩვენს სიტყვას და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ საბჭოთა ფეხბურთის მოჭირნახულეს.

ზ. ჯაფარიძე.

როგორც ცნობილია, გაზეთ „თბილისის" რედაქციამ დააწესა პრიზი ფეხბურთელისთვის, რომელიც საკავშირო ჩემპიონატის ერთ მატჩში ყველაზე მეტ გოლს გაიტანდა. ჯილდოს მფლობელი გახდა თბილისის „დინამოს" თავდამსხმელი, საკავშირო ჩემპიონატის ბომბარდირთ-ბომბარდირი ილია დათუნაშვილი, რომელიც ერევნის „არარატთან" შეხვედრაში 5 ბურთის ავტორად მოგვევლინა.

გუშინ ი. დათუნაშვილს „თბილისის" რედაქციაში გადაეცა ეს საპატიო ჯილდო—„ოქროს ბუცი".



სურათზე: ი. დათუნაშვილი პრიზით.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ჭადრაკი

# მხიარული ამბები

## დიდოსტატი მილიციის განყოფილებაში

მოსკოვში საკავშირო ჩემპიონატი ტარდებოდა. ტალ—ბოლესლავსკის პარტია ტალისათვის მძიმე პოზიციაში გადაიდო. რიგელი დიდოსტატი მთელი ღამე ფიქრობდა, მაგრამ საიმედო სვლას მაინც ვერ მიაგნო. დილაადრიან გავიდა სახლიდან. ღრმად ჩაფიქრებული მიდიოდა და ქუჩა, თურმე, გადასასვლელზე არ გადაჭრა. ცხადია, მაშინვე გაისმა მილიციელის სასტვენის ხმა. დიდოსტატს პასპორტი და ფული თან არ ჰქონდა და წესრიგის დამცველმა წესრიგის დამრღვევი მილიციის განყოფილებას მიჰგვარა. განყოფილების მორიგეს მაგიდაზე ჭადრაკის დაფა ედო. ფიგურებისთვის თვალი არ მოუშორებია, ისე იკითხა:

— გვარი?

— ტალი, — მიუგო დიდოსტატმა.

— აბა, ხუმრობას თავი დაანებეთ, — გაბრაზდა მორიგე. — გამომივიდა დიდოსტატი!.. თუმცა, თუ თქვენ მართლაც ტალი ხართ, ამის გარკვევა არ გაგიჭირდებათ. აი, მთელი ღამეა ამ პარტიას ვუზივარ და ტალისთვის გამოსავალი ვერა და ვერ მიპოვია. აბა, თქვენ როგორ ითამაშებდით?

— რომ ვიცოდე, რა მიჭირდა. მეც ბევრი ვიფიქრე, მაგრამ ხსნა არ არის.

ჭადრაკის მოყვარულმა მილიციის მორიგემ პირველმა გაიგო, რომ ტალმა წააგო ეს პარტია.

## მსაჯი და ვენტილატორი

რეშევსკი — ფიშერის მატჩის დროს შავ დღეში ჩავარდა... მთავარი არბიტრი.

ცნობილია, რომ ორივე ამერიკელი ხშირად ჟინიანობს. მათ საწინააღმდეგო მოთხოვნები წამოაყენეს ამ შეხვედრის დროსაც.

ფიშერს ვენტილატორის ჩართვა უნდოდა. ეს რომ რეშევსკიმ გაიგო, განაცხადა: ვენტილატორის ხმაურში ვერ ვითამაშებ, გულს ვერ ვუდებო.

მსაჯმა გამოსავალს მიაგნო: ფიშერის სვლა რომ იყო, ჩართავდა ვენტილატორს, რეშევსკი რომ თამაშობდა — გამორთავდა.

## „ცრემლიანი სვლა"

პოლუგაევსკიმ გვიამბო.

— ერთხელ მოსკოველ მოჭადრაკე ქალთა გუნდურ მატჩს ვესწრებოდი: ერთ-ერთმა მონაწილემ ლაზიერით სვლა გააკეთა და... ატირდა. მისი მეტოქე მწვრთნელთან მივიდა:

— ჩემმა მოწინააღმდეგემ საკუთარი ლაზიერი საფრთხეში ჩააგდო და გააკეთა თუ არა სვლა, მაშინვე მიხვდა შეცდომას. ახლა ზის და ტირის... როგორ მოვიქცე, აჯიღო ლაზიერი?

— რა თქმა უნდა! — მტკიცედ განუცხადა მწვრთნელმა, — სპორტი სპორტია!

მოჭადრაკე მაგიდასთან დაბრუნდა და ლაზიერი აიღო.

მისმა პარტნიორმა ცრემლები მოიწმინდა და მორიგი სვლით მეტოქეს შამათი გამოუცხადა...

ჭადრაკი

# ოლიმპიური ქულები ოლიმპიადამდე

სტატისტიკის მოყვარულებმა პირველად 1962 წელს, ტოკიოს თამაშებზე ორი წლით ადრე, შეაჯამეს იმ სეზონში ოლიმპიურ სახეობებში გამართული საერთაშორისო შეჯიბრებების შედეგები და ძალთა შეფარდებაც განსაზღვრეს. ტურნირებში მონაწილე ქვეყნებს ქულებს ისე უწერდნენ, როგორც ოლიმპიადის არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაშია მიღებული. ტრადიცია გაიხსენეს წლეულსაც, როცა მეხიკოს თამაშებამდე 2 წელი დარჩა. დადგენილია, რომ გუნდებს შეუძლიათ მოიპოვონ 3711 ქულა (I ადგილი — 7 ქულა, II — 5, III — 4 და ა. შ.), ერთმა ქვეყანამ კი, თეორიულად, შეიძლება 1944 ქულა დააგროვოს.

წლევანდელი საერთაშორისო შეჯიბრებების შედეგები ასეთია: აკადემიური ნიჩბოსნობა — გდრ — 35 ქულა; კალათბურთი — აშშ — 7, კრივი — სსრ კავშირი — 40, კლასიკური ჭიდაობა — სსრ კავშირი — 42,5, თავისუფალი ჭიდაობა — თურქეთი — 35, ველოსპორტი — საფრანგეთი — 29, ფრენბურთი: ვაჟები — ჩეხოსლოვაკია — 7, ქალები — იაპონია — 7, ტანვარჯიში: ვაჟები — იაპონია — 86, ქალები — სსრ კავშირი — 49, საბაიდარო ნიჩბოსნობა და კანოე — სსრ კავშირი — 37, ცხენოსნობა — გფრ — 25, მძლეოსნობა: ვაჟები — აშშ — 188, ქალები — სსრ კავშირი — 54, აფროსნობა — დანია — 23, ცურვა: ვაჟები — აშშ — 113, ქალები — აშშ — 122; წყალში ხტომა: ვაჟები — აშშ — 29, ქალები — აშშ — 22, თანამედროვე ხუთჭიდი — უნგრეთი — 21, სასტენდო და ტყვიის სროლა — აშშ—44, ძალოსნობა — სსრ კავშირი — 39, ფარიკაობა: ვაჟები — სსრ კავშირი — 43, ქალები — სსრ კავშირი — 22, ფეხბურთი — ინგლისი — 7, ბალახის ჰოკეი — ავსტრალია — 4 (ამ სახეობაში გუნდი მხოლოდ სამ ქვეყანას ჰყავს).

ამჯერად, შედეგების შეჯამების შემდეგ, ადგილები ასე განაწილდა (ფრჩხილებში მივუთითებთ ტოკიოში მოპოვებულ ადგილებსა და ქულებს):

| | |
|---|---|
| 1 (1). სსრ კავშირი — 703 (608,3) | 12 (12). რუმინეთი — 96 (94) |
| 2 (2). აშშ — 654 (581,8) | 13 (8). ინგლისი — 92,5 (135,5) |
| 3 (—). გდრ — 260.5 (125,5) | 14 (13). ჰოლანდია — 78,5 (70) |
| 4 (7). პოლონეთი — 187 (151,5) | 15 (15). ბელგია — 61 (65,5) |
| 5 (4). იაპონია — 185,5 (235) | 16 (21). კანადა — 58,5 (37) |
| 6 (6). უნგრეთი — 173,5 (174) | 17 (19). იუგოსლავია — 54 (37,5) |
| 7 (—). გფრ — 172,5 (198,5) | 18 (14). შვეცია — 51 (68,5) |
| 8 (9). ავსტრალია — 145,5 (130,5) | 19 (18). დანია — 48 (38) |
| 9 (11). საფრანგეთი — 125 (97) | 20 (17). თურქეთი — 48 (38) |
| 10 (10). ჩეხოსლოვაკია — 117,5 (101) | 21 (16). ფინეთი — 33,5 (39,5) |
| 11 (5). იტალია — 104 (185) | 22 (25). ირანი — 32 (17,3) |

როგორც ხედავთ, ცხრილში მოყვანილია ის ქვეყნები, რომლებიც ოცეულში ადგილის დამკვიდრებისთვის იბრძვიან. ამავე ცხრილიდან ჩანს ისიც, თუ რამდენად ამაღლდა ფავორიტი ქვეყნების სპორტსმენთა მომზადების დონე.

უინტერესო არც ის უნდა იყოს, რომ მეხიკოში გდრ-ისა და გფრ-ის გუნდები ცალ-ცალკე გამოვლენ. თუ მათი ძალთა შეფარდება ოლიმპიადაშიც ისეთივე იქნა, როგორიც წლეულს საერთაშორისო ტურნირებში იყო, დასავლეთგერმანელები გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილს უნდა გამოეთხოვონ.

◆ ჰალები, 17 დეკემბერი. მესამე მატჩი სირიაში სსრ კავშირის ფეხბურთელთა ოლიმპიურმა ნაკრებმა ადგილობრივ „ახლისთან" გამართა. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 3:0. სამივე გოლი პირველ ტაიმში იქნა გატანილი. ბურთების ავტორები არიან ე. ხუციშვილი (2) და ვ. ფედოტოვი.

◆ პალმა (ესპანეთი), 17 დეკემბერი. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მ. ტალმა გაიმარჯვა აქ დამთავრებულ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში. მან 12 ქულა დააგროვა 15-დან. II ადგილზე გავიდა ესპანელი მოჭადრაკეების ლიდერი ა. პომარი (11). III-IV ადგილები გაიყვეს უნგრელმა ლ. პორტიშმა და იუგოსლაველმა ბ. ივკოვმა — 10-10. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ა. მატანოვიჩი (იუგოსლავია) — 9, ლ. შამკოვიჩი (სსრ კავშირი), ჰ. პფლეგერი და ჰ. ლემანი (ორივე — გფრ) — 8-8.



როგორც „ლელოს" წინა ნომერში ვიტყობინებოდით, დასავლეთ გერმანიის „ინტერნაციონალეს შპორტ-კორესპონდენცის" სააგენტოს მიერ ჩატარებულ საერთაშორისო რეფერენდუმმა წლეულს მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენად აღიარა ამერიკელი მძლეოსანი, კანზასის უნივერსიტეტის სტუდენტი, 19 წლის ჯ. რაიანი — მსოფლიოს რეკორდსმენი 1 მილსა და 880 იარდზე რბენაში.

სურათზე: 1966 წლის მსოფლიოს № 1 სპორტსმენი ჯ. რაიანი.

△ ლოს-ანჯელოსი. ამერიკის შეერთებული შტატების პირველობა მძლეოსნურ კროსში მოიგო ცნობილმა სტაიერმა ლინდგრენმა, რომელმაც 9.700 მ 29 წუთსა და 24 წამში გაირბინა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ სმითი და ვიჩორეკი. 2.500 მეტრზე ქალთა რბენაში გაიმარჯვა დ. ბრაუნმა—7.51,2.

△ ოტავა. 1-6 იანვარს კანადაში გაიმართება ჰოკეისტთა საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი, რომელშიც გამოვლენ სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, აშშ-ისა და კანადის ნაკრები გუნდები. ეს მსოფლიო პირველობის (გაიმართება 8-19 მარტს ვენაში) წინ ძალთა პირველი შემოწმება იქნება.

△ სიდნეი. კ. უაინტერმა, რომელმაც ამას წინათ მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა 880 იარდზე ცურვაში (9.50,3), კვლავ ისახელა თავი. ამჯერად მან 19 წუთსა და 10,5 წამში გაცურა 1.650 იარდი. ეს დრო ავსტრალიის ახალი რეკორდი და პლანეტაზე მეორე შედეგია პ. კარეტის მსოფლიო რეკორდის (18.51,1) მერე.

△ **ოსლო. 5 კილომეტრზე თხილამურებით რბენაში შესანიშნავი შედეგი — 17.47,0 აჩვენა ნორვეგიელმა სპორტსმენმა ქალმა ტ. გუსტავსონმა.**

△ რუანი. მოცურავეთა აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში რამდენიმე მაღალი შედეგი იქნა ნაჩვენები. მაგალითად, 100 მ თავისუფალი სტილით ცურვა — მოსკონი (საფრანგეთი) და გრიუნერი (ინგლისი) — 56,0, 100 მ ბატერფლაით — ლამპე (გფრ) — 1.03,0; 100 მ ზურგზე — ბაკე (ინგლისი) — 1.08,2.

△ **ლონდონი.** კროსში ინგლისის დედაქალაქის ჩემპიონი გახდა ნორტი. 10 კილომეტრზე მან აჩვენა 29.42,0.

# მოკრივის „მეორე დაბადება"

**ნიუ-იორკი, 17 დეკემბერი.** წლევანდელ აპრილს ნიგერიელმა მოკრივემ, 37 წლის დიკ ტაიგერმა საშუალო წონაში პროფესიონალთა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული წააგო ქვესაშუალო წონის ამერიკელ ათლეტთან ემილ გრიფიტთან. და აი, ახლა ტაიგერმა ბედი უფრო მძიმე წონით კატეგორიაში სცადა. ცდა წარმატებით დაგვირგვინდა: ბოლო 63 წელიწადში იგი გახდა პირველი მოკრივე, რომელმაც პლანეტის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ჯერ საშუალო, ხოლო შემდეგ ქვემძიმე წონაში.

ტაიგერის ეს „მეორე დაბადება" მოხდა გუშინ, ადგილობრივი „მედისონ სკვერ-გარდენის" დარბაზში. ნიგერიელმა მოკრივემ თუმცა ქულებით, მაგრამ დამაჯერებლად მოუგო მსოფლიო ჩემპიონს, პუერტორიკოელ ხოსე ტორესს, რომელსაც უეჭველ ფავორიტად მიიჩნევდნენ.

ტორესს, რომელიც თავის მეტოქეზე 7 წლით უმცროსია, თითქმის 4 კილოგრამით მძიმე გახლავთ და თანაც მაღალია, ამავე დროს, ანთროპომეტრული მონაცემებით ტაიგერს ჯობს, მხოლოდ პირველ რაუნდებში ჰქონდა უპირატესობა. ბრძოლის მიწურულში ტაიგერი გაცილებით ცოცხლად გამოიყურებოდა და მას მსაჯებმა ერთხმად მიანიჭეს გამარჯვება.

## ახალი ამბები

### ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე

✦

### შეხვედრის ანგარიშია 3:0

● ბერლინი, 17 დეკემბერი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველ მერვედფინალურ მატჩში მოსკოვის „დინამოს" ფრენბურთელმა ქალებმა აქ დაამარცხეს ბუდაპეშტის „დოჟა"—3:0 (15:7, 15:4, 15:4). ეს თამაში შედიოდა სოციალისტური ქვეყნების დინამოელთა ტურნირის ჩათვლაში.

● დაკარი, 17 დეკემბერი. აფრიკაში ტურნეს აგრძელებს უკრაინის ახალგაზრდა ფეხბურთელთა ნაკრები. მან აქ მოუგო ადგილობრივ „ესპუარს" — 3:0. სტუმრებს წინა აქვთ მატჩი სენეგალის ნაკრებთან.

სოციალისტური ქვეყნების სპორტული ცხოვრება

# თხილამურები წყალზე



შეიძლება ითქვას, რომ წყლის თხილამურებით სრიალი სპორტის ყველაზე ახალი და ამიტომ ყველაზე ნაკლებ ცნობილი სახეობაა. მაგალითად, პოლონეთში წლეულს პირველად გათამაშდა წყალზე მოთხილამურეთა ჩემპიონატი. გაიმარჯვა 20 წლის იაცეკ ბელზმა. ჟურნალ „სპორტოვეცის" კორესპონდენტმა ინტერვიუ ჩამოართვა მას. პირველმა ჩემპიონმა ილაპარაკა სპორტის ამ ახალი სახეობის თავისებურებებზე.

— ჩვენ სამ სახეობაში ვილებთ სტარტს და ამ სამიდან პირველი სლალომია. საათში 42 კილომეტრის სიჩქარით უნდა დავფაროთ მანძილი 6 კარს შორის. მათგან პირველი 47 მეტრზე დგას, დანარჩენები 21-21 მეტრის დაშორებით. თუ პირველი გავლა უშეცდომოა, ბრუნი 45 კილომეტრის სიჩქარით სრულდება. ამ სახეობაში ცალი ფართო თხილამურით ვასპარეზობთ.

შემდეგია ფიგურული სვლა. თხილამური მოკლეა და ნაპირებმოხრილი. სიჩქარეს 25 კილომეტრის ფარგლებში ადგენს თავად სპორტსმენი ძრავიანი ნავის დახმარებით. კერძოდ, ვასრულებთ 180, 360, 540, 720-გრადუსიან ბრუნს, შემდეგ კი იმავე ილეთებს — ცალ ფეხზე. არანაკლებ მნიშვნელოვანია ტალღის ზემოდან ბრუნით მოქცევა და თხილამურების თოკზე გადატარება.

და, ბოლოს, ყველაზე მიმზიდველია ხტომა. შარშან მე 14 მეტრი გადავლახე, ახლა მას 9 მეტრი დავუმატე.

— ხტომას რომელი ელემენტია ყველაზე რთული?

— ჩემი აზრით, ძალზე მნიშვნელოვანია თვით ზღურბლზე მისვლა. მთავარია, სისწრაფემ არ იკლოს, ძრავიანი ნავი საათში 57 კილომეტრის სიჩქარით უნდა მიდიოდეს. თუმცა, კარგი სვლა და ასევე კარგი ფრენა ქულებს არ იძლევა, მაგრამ, სამაგიეროდ, მეტი შანსი გვაქვს თხილამურებზე დაშვებისა.

— ალბათ, ჰაერშივე ხვდებით, „გამოგივათ" თუ არა ნახტომი.

— რა თქმა უნდა. თუ წყალთან „შეჯახების" საფრთხეს იგრძნობ, უბრალოდ, ხელი უშვი საბუქსირო თოკს და ეცადე, რაც შეიძლება იოლად გადარჩე.

— წყალთან ასეთი შეხვედრები, ალბათ, არც მაინცდამაინც სასიამოვნოა.

— კაცი ყველაფერს ეჩვევა. თუმცა, წყლის ზედაპირზე პირქვე, სახით დაცემა მართლაც არც იმდენად საინტერესოა. დიდად გვშველის აქვალანგისტის კოსტუმი და ჰოკეისტის ჩაფხუტი. ძალიან სახიფათოა ზღურბლზე დაცემა — ნეჭა მეტისმეტად ბასრია.

— სახტომი თხილამურები ძალიან მძიმეა?

— 14 კილოგრამი. თვითეულის სიგანე 19 სანტიმეტრია.

— რა გისურვოთ მომავალი სეზონისთვის?

— ახალგაზრდა სპორტსმენთა მოჰარბება და იღბლიანი სტარტები ევროპის ჩემპიონატში.

**სურათზე:** ვარშავის „ლეგიას" წარმომადგენელი მარეკ ლევიცკი ასრულებს ნახტომს.

ფოტო „სპორტოვეცისა".

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

# ვ. მარღანიას ხსოვნისა...

დღეს თბილისში, არმიის სპორტკლუბის სტადიონზე (შაუმიანის ქ. № 57) იწყება **სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. მარღანიას ხსოვნისადმი მიძღვნილი თასის გათამაშება ფეხბურთში.** ტურნირში ისპარეზებენ 1949-1950 წლებში დაბადებული ჭაბუკები. შეჯიბრება მოეწყობა ოლიმპიური სისტემით და 25 დეკემბრამდე გასტანს.

მოგვყავს I ტურის (ე. ი. დღევანდელი) შეხვედრების კალენდარი:

**10 ს. და 30 წ.** მწვრთნელთა სკოლა — ნორჩი დინამოელი;

**12 ს.** „ლოკომოტივი" — რუსთავი;

**13 ს. და 30 წ.** ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლა — სპორტული სკოლა-ინტერნატი;

**15 ს.** „შრომითი რეზერვები" — თბილისის განათლების განყოფილების ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა.

**20 დეკემბერს**

თბილისის სპორტკავშირის შენობაში (კონსტიტუციის ქ. № 6) ეწყობა

**ფეხბურთის საქალაქო ფედერაციის პლენუმი.**

თბილისის პირველობაში მონაწილე გუნდების მწვრთნელების, წარმომადგენლების, აგრეთვე, საქალაქო კოლეგიის, სპორტტექნიკური კომისიის სასწავლო-მეთოდური საბჭოსა და პლენუმის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

დასაწყისი 19 ს.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 7 უე 12904